

საბჭოთა კომუნისტი

თბილისის
კომუნისტური
პარტიის ცენტრის
გრაფიკული განყოფილება

თბილისი 1941 წ. - გათავსებულია „კომუნისტი“ -

№6

ფასი 1 მან.



დირექციის მოლოდინი

ნახ. მ. ლებეშვიცისა

— რამ ჩააფიქრა ასე ღრმად ჩვენი დირექტორი?

— პირიქითი ისვენებს უზრუნველად ცენტრიდან დირექტივის მოლოდინში, საგაზაფხულო თევზის კამპანიის ჩატარების შესახებ.

ის მოკრძალებით შემოვიდა რედაქციაში. ქული მოიხადა და სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოიხატა.

- აქ რედაქციაა, რა თქმა უნდა.
- დიად, რედაქცია ვახლავთ, დაბრძანდით.
- გმადლობთ, მე მოვედი პატარა გაუგებრობის გამო.
- ბრძანეთ.

მან მოკრძალებით აიღო სკამი, ჯერ შეუბერა, შემდეგ პალტოს კალთით გადაწმინდა, თუმცა სკამზე მტვერი არ იყო.

— წარმოიდგინეთ, ეს ჩვეულებათ დამჩემდა, — განაგრძო დანაშაულის კილოზე — იქ, ჩვენთან ბუნებრივად არის მტვერი იმიტომ, რომ აუარებელი ხალხი შემოდის და გადის. ნაგავიც, რა თქმა უნდა, გვაქვს იმიტომ, რომ...

ამ სიტყვაზე, პატარა პაუზა გააკეთა, პაპიროსს მოუკიდა და განაგრძო:

— იმიტომ რომ ეზო დიდი გვაქვს, შემოდინ-გადინ, საქონელი შემოაქვთ. ხომ იცით — ათასი წვრილმანია.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — შევეკითხე მას ბოლოს.

— მე? — ბოდიში... მართალია, თავიდანვე უნდა მეთქვა, მაგრამ იმ სკამის გაწმენდაზე ჩამოვარდა სიტყვა და მეც ჩამიყლია. აქი მოგახსენეთ — ჩვეულებად დამჩემდა მეთქი — სკამის გაწმენდა და ისე დაჯდომა; რომ მტვერში არ ამოვიგანგლო ხოლმე. ახლა უკვე მართალია, ვცდილობთ გავწმინდოთ ჩვენი ეზო ნაგავისაგან, მაგრამ რა გაიტანს იმდენ ნაგავს? უმჯობესია ისევ სხვაგან გადავიტანო ჩვენი კანტორა — ახალ შენობაში.

— თქვენ მაინც არ ბრძანეთ, ვინ ბრძანდებით და საიდან?

ის უცვლად ფეხზე წამოდგა და დაბნევით გაიმეორა:

— მე? ბოდიში. მართლაც დავბნენი, — „მარაგვაჭრგაერთიანების“ ფილიალის საწყობების მთავარი გამგე ვახლავართ.

— რას გვიბრძანებთ?

— არა, მე საბრძანებლად არ მოვსულვარ, — სთქვა მან, უკბილო ხუმრობის ტონით, — მე ბიუროკრატი არა ვარ.

— ბრძანეთ.

— კიდევ „ბრძანეთ“.

— მართალია ჩვენ კედლის გახეთქილი ბიუროკრატი მიწოდეს. ასე გასინჯეთ, კარიკატურაშიც კი გამოიხატეს, ვითომც მე ცეცხლისმფრქვევი მთა ვიყო და ბრძანებებს ვაფრქვევდი. მაგრამ ეს ცილისწამებაა და აი რატომ:

მე მოვხსენიე საქმის მწარმოებელი ქალი, — ამის შესახებ ბრძანება დაწერე, რა თქმა უნდა, შემდეგ გამოირკვა, რომ ის ქალი ერთი ჩემი ნაცნობის ახლო ნათესავია, რომელიც ერთერთ დაწესებულებაში პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობს. ამის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ის საქმის მწარმოებელი ქალი — შეიძლება დატოვებულ იქნას თავის ადგილზე, ამის შესახებაც დაწერე ბრძანება.

მან კვლავ პაპიროსს მოუკიდა და წყალიც მოსვა ჭიქიდან, რომელიც ლაპარაკის დროს მექანიკურად დაასხა.

— დიად, დაწერე ბრძანება-და ვიფიქრე: მოდი იმ ჩემს ნაცნობს დაფურეკავ და მთელ ამ ამბავს ვაცნობებ მეთქი. რატომ იცი? — ის კაცი ჩვენი დაწესებულებისათვის დიდი კაცია: საკუთარი ფონდებიდან ნედლი მასალებიც კი მოგვყიდა. ჰოდა ვრეკავთ და როცა გამაგონეს, ასეთი დილაოვი გაიმართა ჩვენში:

— ვინ გნებავთ? — მეკითხებთან იქიდან.

— თეოფილე მინდა, მმართველი.

— თქვენ სცდებით. ჩვენს მმართველს თეოფილე კი არა, ნიკიფორე ჰქვია.

— მაშ თეოფილე რომ ერქვა, ის სადღაა? — ვკითხე მე.

— ის ხომ სამი თვეცაა, რაც მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს.

— რატომ?

— ქონების გაფლანგვისათვის.

მან კიდევ მოსვა წყალი და განაგრძო:

— რასაკვირველია, ამის შემდეგ საჭირო გახდა კვლავ ახალი ბრძანების დაწერა.

— რა ბრძანების?

— იმ ქალის მოხსნის შესახებ...

— მაშ მაგ ახირებულ ისტორიის მოსაყოლად მოხვედით?

— არა, არა, რას ბრძანებთ. მე სხვა საქმე მაქვს თქვენთან, — ეს ყველაფერი სიტყვამ მოიტანა. შემოვედი ერთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

— მაშ ბრძანეთ, რაც შეიძლება მოკლედ.

— მოკლედ გეტყვი: — თქვენი კორესპონდენტის მოქმედება არ არის სწორი.

— რომელი კორესპონდენტის?

— აი, იმ სახეწითური, ქერა კორესპონდენტი...

— რა მოქმედებაზე ლაპარაკობთ?

— იმ მოქმედებაზე, რომ თუ ის ფასების ინსპექტორიც იყო და ამავდროს ნიანგის თანამშრომელიც, — შეცდომაში არ უნდა შეგვეყვანე.

— როგორ შეგვიყვანა შეცდომაში?

— ისე, რომ როცა დარწმუნდა, რომ მე ის ჩემი მეგობრის მიერ გამოგზავნილი კაცი მეგონა, მაშინ უნდა ეთქვა: „მე ის კაცი არა ვარ“ და მაშინ ის აღარ მოხდებოდა, რაც მოხდა.

— მაინც რა მოხდა?

— შემოვიდა შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს თქვენი კორესპონდენტი და გაჩერდა. გზიდავ — წითურია, ქერა — სწორედ ისეთი, როგორც ტელეფონში ამიწერა ჩემმა ერთმა მეგობარმა.

ამ სიტყვებზე მას ხანგრძლივი ხველება აუფარდა, ჩაბჭირდა, სული შეეხუთა და ცუდად გახდა.

— თუ შეიძლება ცოტას შევისვენებ, — სთქვა მან ნაწყვეტნაწყვეტად. დივანზე მიუთითა.

ვიდრე ის სულს მოითქვამდა, — მე უჯრიდან ამოვიღე ჩვენი კორესპონდენტის ფელეტონი სათაურით „ახირებული“ რომელიც წინა დღით მივიღე ნიანგისათვის გადასაცემად და დავიწყე მისი თვალყურება, მართლაც გარემოებათა ახირებული შეხვედრა მოხდა: სწორედ იმ „ახირებულში“ იყო აღწერილი ის ამბავი, რომლის მოთხრობაც ხველის გამო შესწყვიტა უქანაურმა ადამიანმა. კორესპონდენტი სწერდა, რომ მან დანაშაულობაზე დაიჭირა „მარაგვაჭრგაერთიანების“ ფილიალის საწყობების მთავარი გამგე. კორესპონდენტი იწერდა, რომ მან აღნიშნულმა გამგემ აღნიშნული კორესპონდენტი ვილაც კომბინატორის მიერ მიგზავნილ კაცად მიიღო: კორესპონდენტი სწერდა:

— „მე შემძლიან მოგვით ერთი ყუთი ლურსმანი, — მომმართა მან. მე გამეცინა. ეტყობა, გაიფიქრა, რომ მეცოტავა და დასძინა:

— სხვათაშორის, შაქარიც შემძლიან მოგართვათ ათიოდე კილო, — მაღაზიებიდან წაღებას ასე გირჩევენიათ.

მე კვლავ გამეცინა.

— ფესხაცმელების პარტიაც მივიღეთ, — მეუბნება ის ბოლოს. მე ვიგრძენი, რომ მან ვილაცას მიმამსგავსა და კიდევ ჩავიცინე.

— მაშ ბრძანეთ რა გინდათ და იმას მოგართმევთ.

მაშინ მე შევეკითხე.

— მე იმის გაგება მინდა თუ ვინ მოგვით ამის უფლება?

— რის უფლება? — გაკვირვებით შემეკითხა ისიც.

— საქონლის საწყობიდან გაცემისა — მომხმარებლებისათვის. ის სახტად დარჩა. დამატებდა და კვლავ შემეკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

მე აუფხსენი ვინც ვიყავი. ის დაიბნა. ჯერ რაღაც წაილულულა და შემდეგ თავის მართლებას შეუდგა:

— უნდა ვითხრათ, რომ აქ პატარა გაუგებრობა მოხდა, მე სხვა მეგონეთ.

— მე ვგ ვიცი.

— არა, თქვენ არ შეგიძლიათ იცოდეთ, რომ მე გამოსაცდელად გელაპარაკებოდით.

— რატომ გამოსაცდელად?

— იმიტომ, რომ სხვა მეგონეთ“.

საკმაოდ გრძლად იყო აღწერილი მათი დილაოვი, საიდანაც აშკარად სჩანდა, რომ დანაშაულზე დაჭერილი გამგე თავის დაძვრენას ცდილა ალბად მისთვის ნაცადი ხერხებით.

კორესპონდენტი სამართლიანად მოითხოვდა დანაშაულის დასჯას.

— დიად, — მე მინდა დაწვრილებით ავიხსნათ საქმე, — წამოიწია დივანიდან უკვე მოცოცხლებულმა ახირებულმა კაცმა, — მე მინდა ავიხსნათ, რომ...

— ნულარ შესწუხდებით, ჩვენ ყველაფერი ვიცით, — მივუგე მე და გაუმეორე კორესპონდენტი აწერილი ამბავი.

— მაშ გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ მე შევცდი.

— რაში შესცდით?

— იმაში, რომ ვერ ვიცანი ის წითური და ქერა კაცი, თორემ ასე არ მოხდებოდა. ძალიან გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, მაშ მშვიდობით. კარებში გასვლისას კიდევ გაიმეორა ეს თხოვნა.

მეც ვღებულვარ მხედველობაში მის ახირებულ თხოვნას ამ ახირებული ამბის მოთხრობის დროს, — ხოლო დასკვნას ალბად პროკურორი გამოიტანს.



— თქვენ ეს-ეს არის ახლა გამოხვედით აბანოდან და ხელახლად რატომ დგებით რიგში?
— ხანამ საღარომდე მივალწევდე ორი კვირა გავა და ხელახალი დაბანის დროც მოსული იქნება.

ნათესავი

ნაგზია

(წყნეთელი მგზავრის სიმღერა)

ნეტავი ჩიტი ვიყო
ჩიტუნია პატარა,
გამაფრინა წყნეთისკენ,
მთები გადამატარა.

ბევრი ტურფა გაზაფხული
მოსულა და წასულა,
იმ წყნეთში კი გზატარანის
ავტო ჯერ არ ასულა.

ავტობუსის გაგზავნა
თუმც გრაფიკში ჩნდებოდა,
ველოდით ასრულებას,
არავინ ირჯებოდა.

არც ავტო მაქვს, არც ეტლი,
არც ჩოჩორი წყნეთური,
რით წავიდე ნეტავი
წყნეთში მე უბედური!

ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
გამაფრინა წყნეთისკენ,
მთები გადამატარა.

ერთხელ ცნობილმა კომპოზიტორმა ლისტმა და ცნობილმა მომღერალმა რუბინმა კონცერტი გამართეს საფრანგეთის ერთერთ ქალაქში. მათ გასაკვირველად, კონცერტს დაესწრო მხოლოდ ორმოცდაათიოდ კაცამდე, და ისინიც ძალზე ცივად უსმენდნენ. მიუხედავად ამისა ლისტმა და რუბინმა არაჩვეულებრივი ვატაცებით ჩაატარეს კონცერტი, რის დამთავრების შემდეგ ლისტმა მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: პატივცემულნი ბატონებო და პატივცემულო ქალბატონებო! (კონცერტზე მხოლოდ ერთადერთი ქალი მოსულიყო) მე ვფიქრობ, რომ მუსიკა უკვე საკმაოდ მოისმინეთ; ეხლა გთხოვთ გვცეთ პატივი და ყველანი ვახშამზედ მეწვიოთო. საზოგადოებამ ცოტა ყოყმანის შემდეგ მიწვევა დიდი სიამოვნებით მიიღო და ლისტს ეს ვახშამი 1200 ფრანკი დაჯდომია. ლისტს და რუბინს მეორედ დღეს კონცერტი აღარ გაუმეორებიათ.

— ტყვილად არ გაიმეორესო, — შეუნიშნავს ცნობილ კრიტიკოსს ჟიულ ჟანენს. — რადგან თუმცა საზოგადოება მუსიკისადმი კვლავ ცივად იქნებოდა განწყობილი, მაგრამ სხვის

ხარჯზე ვახშმის სურვილი ამოძრავებდათ და თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდებოდაო.

ცნობილმა მხატვარმა ლანტარმა, რომელიც შეუდარებელი იყო პეიზაჟების ხატვაში, სავსებით არ იცოდა ფიგურების ხატვა. ერთხელ ვიღაც მდიდარმა მას შეუკვეთა სურათი, რომელზედაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ეკლესიაც. ლანტარმა დახატა ეკლესია და მის ირგვლივ გაშალა არაჩვეულებრივი სილამაზის პეიზაჟი. მხოლოდ აღამიანები არ დახატა, რადგან არ იცოდა მათი დახატვა. როდესაც მხატვარმა შემკვეთს აჩვენა სურათი, ის ალტაცებაში მოვიდა, მაგრამ მაშინვე შეეკითხა: რატომ არ სჩანს ხალხი, რომელიც ეკლესიისაკენ მიემართებიანო.

— ხალხი ყველა ეკლესიაშია შესული. რადგან ეხლა წირვა მიმდინარეობს, — იხუმრა მხატვარმა.

— ხოო, ძალიან კარგიო. აბა მეც მოვიცი და როცა წირვა გამოვა და ხალხიც გამოვა — მაშინ გადავიხდი ამ სურათის ფულსო. — თავის მხრივ უპასუხა შემკვეთმა.

გელა

გ-ზა 13/2 41
3
1993

ძალიან დიდი წარმოდგენის იყო თავის თავზე ბენია აბგაიძე. იგი არტელ „პარაფინის“ მონაგარი იყო და მუდამ იმას ცდილობდა, რომ როგორმე მთავარი ბუხშალტერის ადგილი დაეჭირა.

— არ მეკუთვნის თუ? — არ მალავდა თავის მისწრაფებას აბგაიძე, — დასწყევლოს ეშმაკმა, ვინ გამოიგონა ეს მონაგარი იმეობა. იჯექი 8 საათი და უკირკიტე საანგარიშოს.

მრავალ ღონისძიებას მიმართა აბგაიძემ, რათა არტელის თავმჯდომარეს იგი დაეწინაურებია. ერთხელ მთავარი ბუხშალტერის შესახებ ენაც კი მიუტანა უფროსს.

— მაგისთანა თავმჯდომარეს თავს ლაფი დავასხიო, სწორედ ასე მოვახსენათ თქვენს შესახებ, — ნუ თუ ამის შემდეგ კიდევ დასტოვებთ მას მთავარ ბუხშალტრად!?

— არ მჯერა, იგი პატიოსანი კაცია, მაგას არ იტყვია! — ამბობდა არტელის თავმჯდომარე ბონდო ბალიძე.

— თუ არ გჯერათ, იცით კიდევ რა სთქვა მან თქვენ მისამართით?

— არა.

— ბრიყვიაო! დიახ, ბრიყვიაო.

— ამას თქვენი მისამართით იტყვია, ჩემო კარგო, და არც შესცდებოდა! — უპასუხებდა ბენიას თავმჯდომარე, რომელმაც კარგად იცოდა უკანასკნელის ღვარძლიანი გულის ამბავი.

აბგაიძე მაინც ენერგიულად იბრძოდა კარიერისათვის.

მეორე დღეს არტელში ვიღაცამ ტელეფონით დარეკა.

— სთხოვეთ არტელის თავმჯდომარეს... ახ, თქვენა ხართ? აი, რა გითხრათ. თქვენთან მუშაობს ერთი საუკეთესო, ენერგიული და პატიოსანი ახალგაზრდა ბენია აბგაიძე.

— დიახ, მუშაობს მონაგარიშის თანამდებობაზე.

— ეს ყოვლად შეუძლებელია... თქვენ ალბად სცდებით. ისეთი მცოდნე და პატიოსანი მუშაკი მონაგარიშედ როგორ შეიძლება! ხომ არ შეგიძლიათ დაგვითმოთ ეგ მუშაკი ჩვენი ტრესტისათვის, ჩვენ მას მთავარ ბუხშალტრად დავინიშნავთ.

— ჯერ ერთი ტელეფონით ასეთი საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება, — უპასუხა თავმჯდომარემ უცნობ მოლაპარაკეს, — მეორეც ბენია აბგაიძე ჩვენ გვჭირდება. იგი კარგი მონაგარიშეა.

ამ საუბრის დროს მონაგარიშე ბენია აბგაიძე გატრუნული იყო. მან იცოდა თუ ვინც ლაპარაკობდა ტელეფონით, რადგან წინა დღით, თვითონ სთხოვა თავის ახლო მეზობელს დაერეკა არტელის თავმჯდომარისათვის. ბენია დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ იგი აუცილებლად იქნებოდა დაწინაურებული, მაგრამ შედეგი არ სჩანდა.

— გამათავისუფლეთ, — აცხადებდა იგი თამამად, — გამათავისუფლეთ გვედრებით. მე აქ უბრალოდ დროს ვკარგავ.

— ვერ გაგათავისუფლებთ. ჩვენ მონაგარიშე გვჭირდება! — უპასუხებდნენ აბგაიძეს.

აბგაიძემ ჭირივით შეიძულა ჯიუტი თავმჯდომარე.

— მალე ავიკრავ ბარგს, თუ ვყოფილვარ ბიჭი! — ფიქრობდა იგი თავის გულში.

მესამე თუ მეოთხე დღეს არტელში ანონიმური (ხელმოუწერელი) განცხადება მიიღეს, რომელსაც დასაწყისში ეწერა: „ასლი სარევიზიო კომისიას, სარევიზო კოორპერაციის გამგეობას და ყველა გაზეთების რედაქციებს“.

„არტელ „პარაფინში“ — დალადებდა, განცხადება, — მუშაობს თავმჯდომარედ ბონდო ბალიძე, რომელიც რომ ძალიან ბრიყვია და შტატიც არ ჰყავს სწორედ შერჩეული. მაგალითად, მონაგარიშედ მუშაობს ისეთი კაცი, რომელიც რომ კაცი მთავარ ბუხშალტრად გამოდგება, ხოლო მას რატომღაც არ აწინაურებენ. ესე იგი რატომ არ აწინაურებენ? იმიტომ და კიდევ იმიტომ, რომ თავმჯდომარე ნაღდი კრეტიანია, რომელიც ამავე დროს ცუდი ხარისხის პარაფინებს უშვებს. საჭიროა ასეთი თავმჯდომარის მობოლტვა“.

რა თქმა უნდა ასეთი ხელმოუწერელი და ცარიელი სიტყვების თავის არავის დაუჯერებია. მაგრამ ბენია არ სცხრებოდა. მალე არტელმა კვლავ მიიღო ვრცელი განცხადება, რომელსაც 7 კაცი აწერდა ხელს. განცხადებას თავში ეწერა: „ასლი პროკურორს და არტელის თავმჯდომარის ცოლს მართას“.

„... უნდა ითქვას, რომ — ეწერა განცხადებაში — არტელ „პარაფინში“ მუშაობს ერთი საუკეთესო ახალგაზრდა, რომლის გვარი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მონაგარიშედ მუშაობს. ეს კაცია ბენია აბგაიძე. მთელი ქალაქი ლაპარაკობს, რომ მას მთავარ ბუხშალტრზე მეტი მისი, ხოლო ამასთანავე არტელის თავმჯდომარე გარყვნილი კაცია. მას დაბარებული ჰყავს ამ საღამოს პაემანზე თავისი კაბინეტში თავის ცოლის კარგი მეგობარი“.

არტელში ყველამ გაიცინა ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ. არ გაუცინია მხოლოდ თავმჯდომარის ცოლს, რომელმაც სახლში მიიღო ეს განცხადება. ეჭვით შეპყრობილი ქალი იმ საღამოს არტელის მახლობლად ჩაუსაფრდა „მოლაღატე“ ქმარს და მოუთმენებლად მოელოდა თუ როგორ აირბენდა კიბეზე მის მიერ პაემანზე დაბარებული ქალი. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ ქალს გვერდები გაეყინა (ვიც ქარში და უშედეგოდ გასწია სახლისაკენ).

მეორე დღეს არტელის თავმჯდომარემ კაცი გაგზავნა იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყვნენ განცხადებაზე ხელის მომწერნი, მაგრამ გამოირკვა, რომ გვარები გამოგონილი იყო.

— აგერიათ თუ არა დავთარი, ასე იცის ბიჭმა! — იცინოდა თავის გუნებაში ბენია აბგაიძე. თან სხვების გასაგონად ამბობდა:

— ვინც მაგას სწერს ცხადია შინაური კაცია! ნეტავი მაჩვენა, რომ პირში შევაფურთხო. მე მაინც ნუ მახსენებს თავის სულელურ ანონიმებში თვარა დედას ვუტირებ!

არტელში ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ განცხადებების ავტორი ბენია აბგაიძე იყო. ამიტომ არტელმა კიდევ მიიღო ასეთი უსტარი:

„... ვიცით, თქვენ ეჭვი ბენია აბგაიძეზე გაქვთ, მაგრამ სულ ტყუილია. მაგისთანა პატიოსანი თქვენ მანდ სხვა არ გყავთ. ამასთანავე გვეინტერესება რატომ არ აწინაურებთ მაგ კაცს“.

უკანასკნელად კიდევ მიიღო არტელში, განცხადება რომელშიც თავმჯდომარის მისამართით მუქარის სიტყვებიც კი იყო:

„... რამ გამოგაყვეყნათ ასე, — დალადებდა განცხადება, — რით ვერ მიხვდარხართ, რომ უაბგაიძოდ მანდ ყელაფერი ჩაგიფლავდება, უნდა დაგხვდეს კაცი მოსახვევში და ერთი თავში მაგრად მოგიკაქუნოს“.

ამავე განცხადებაში თავმჯდომარეს უწოდებდნენ ეპილეპტიკოს — ილიოტს, ჩიყვიანს და რატომღაც ეკვილიბრისტს.

— გამათავისუფლეთ, — კვლავ ყვიროდა ბენია აბგაიძე, — მე ხვალვე ტრესტში მიმიწვევენ მთავარ ბუხშალტრად.

აბგაიძეს იმედი ჰქონდა, რომ არტელი მას არ გაათავისუფლებდა, მაგრამ თავმჯდომარემ მოულოდნელად დასწერა ბრძანება: „განთავისუფლდეთ იქნას მონაგარიშე აბგაიძე თავისი განცხადების თანახმად“.

აბგაიძე გაშეშდა. არავითარი მიწვევა, ცხადია, მას ტრესტიდან არ ჰქონდა. მან საჩივარი შეიტანა სამმართველოში უკანონოდ გამანთავისუფლესო და მოითხოვა აღდგენა.

აღდგენაზე ლაპარაკი, ცხადია, ხედმეტი შეიქნა, რადგან აბგაიძეს დაუშტკიცეს ანონიმური წერილების ავტორობა და პასუხისმგებლობაში მისცეს როგორც ხულიგანი და ცილისმწამებელი.

არ დაუფასეს ბენია აბგაიძეს ინტრიგანობა.

ეხ, არ გადის ინტრიგანობა!



— ჩვენ კი რაც გვინახავს ამ თეატრში, იმავე პიესებს ვნახულობთ.

როდის შეისწავლიან?

თქვენი ჟურნალის 1939 წლის № 3 — შიშოთავსებული იყო დიალოგი დედა და შვილს შორის, რომელიც ეხებოდა ტროლეიბუსის ბილეთზე არასწორ წარწერას. ეს დიალოგი გამართული იყო დედაჩემსა და ჩემს შორის. ალბად ჩვენს ლაპარაკს ყური მოჰკრა თქვენმა კორესპონდენტმა და დასწერა, თუ როგორ შემაცდინა ტროლეიბუსის ბილეთზე არასწორმა წარწერამ, — „ტბილისის ტროლეიბუსი“, დედას დაუწყე კამათი იმის შესახებ, რომ უნდა ითქვას ტბილისის ტროლეიბუსი და არა თბილისის ტროლეიბუსი.

რასაკვირველია, მაშინ მე შემცდარი ვიყავი, რადგან წერა-კითხვა ახალდაწყებული მქონდა და კარგად ვერ ვერკვევოდი სიტყვების სწორ გამოთქმაში, ეს ჩემთვის ეხლა ნათელია, ვინაიდან წერა-კითხვა და ლაპარაკი ჩინებულად ვისწავლე. ჩემთვის გაურკვეველია ერთი რამ: — როდის შეისწავლიან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ძიები წერა-კითხვას, რომ ტროლეიბუსის ბილეთზე წააწერონ „ტბილისის ტროლეიბუსი“ და არა „ტბილისის ტროლეიბუსი“.

ლამე არის. ყრუ სენაკში რედაქციის კელაპტარი აფრქვევს შუქსა და ალაპლაპებს ანგელოზებს და წმინდანის მახვილ შუბსა.

„შეგვიწყალენ, შეგვიწყალენ, შეგვიწყალენ!“ — გალობს ბერი. თანვე ჰკოცნის და ეხვევა ნორჩ მონაზონს გულის ძგერით.

ისმის, ვილაც აკაკუნებს, ბერს დაეცა შიშის ზარი. კარს აღებს და ხედავს მის წინ დგას მონასტრის წინამძღვარი.

ილუმენმა როს ტიტველი დაინახა ტურფა ქალი, მოულოდნელ სანახავით თვალს აცეცებს, როგორც მთვრალი.

— ჩემო ძმაო სულიერო, — ეკითხება გულმოსული, — ამისხენი, აქ საიდან მოვლენილა ეს ასული?

ილუმენის რიდი ჰქონდა, კანკალებდა მის წინ ბერი, მაგრამ მაინც არ დაიბნა, უბასუხა პირჯვრის წერით:

— დიდება ღმერთს! წმინდანები სასწაულებს ჰქმნიან ბევრსა, დღეს ზეციდან მარიამი მომეგლინა საწყალ ბერსა.

ახალგაზრდა ბერის სიტყვა ილუმენმა რა ისმინა — „მოსწრებულად მიპასუხა!“ — გაიფიქრა თავისთვინა.

— ძმაო მათე! შენი ღვაწლი სჩანს დიდია ცათა შინა, ჰქმენ კეთილი, მაგდალინელს მოასწავლე ჩემი ბინა.

ვინძლო იმან ჩემს სენაკსაც ნათლის შუქი მიაფინოს, ნუგეში მცეს მოხუცებულს, დამშვიდებით დამაძინოს.

— ოჰ, მამაო! რადგან ღმერთმა ჩემი ცდა არ გააუქმა; მე ვეცდები ილუმენი გააბრწყინოს ნათლის შუქმა.

„შეგვიწყალენ, შეგვიწყალენ, შეგვიწყალენ!“ — ჰგალობს ბერი. და მოხუცი ცით მოვლენილ ასულს ჰკოცნის გულის ძგერით.

მოხუცებულს უხარია, მათეც კმაყოფილი არი. მონასტერში სიჩუმეა, მთვარის შუქზე ბრწყინავს ჯვარი.



ღვთაებრივო კლეოპატრა!
ეს წერილი უკანასკნელია ისევე, როგორც უკანასკნელი იქნება ჩემი ამოსუნთქვა უახლოეს მომავალში...

ღიან, მე თავს ვიკლავ. თავს იკლავს კაცი სრულიად ახალგაზრდა, „ულვაშაშლილ წვერგამო“ და მერე რისთვის? ვისთვის?

თქვენთვის, ყოველ შემთხვევაში, საამისო კომენტარიები ზედმეტია. რანი ვიყავით და რანი ვართ?

თქვენ იყავით მემანქანე და ერთნაირი სიკეკლუცით ბეჭდავდით როგორც უნდევრულზე, ისე რემინგტონზე და ავრეთვე ჩვენებურ მანქანებზე. მერე რა? განა ჩემს ნაცნობებში ცოტაა ასეთი მემანქანე?

შემდეგ: თქვენც საუცხოვოდ იცით, რომ თქვენი ნამდვილი სახელია არა კლეოპატრა, არამედ აკვირინა. მართო ამ სახელის შეცვლისათვის მეკუთვნოდა მე ერთი ქალის გრძობა. რანი ვიყავით ჩვენ?

ურთიერთ, ტრფობით მოვრალნი. თქვენ ჩემში გიყვარდათ ნიჭიერი (მართალია, დამწყები!) მწერალი, მე კი თქვენში — ჩემი ნიჭის გამგები ესთეტი ქალი.

მერე რა მოხდა?

ჩემი რომანისა და პოემების დაბეჭდვის ნაცვლად მე რედაქციამ „ფოსტაში“ მომწერა,

რომ „უმჯობესია თავი დავანებო ქალღმერთის ამო ხარჯვას და სამსახურებრივი საქმეებით დავტვირთო სამუშაო საათები“.

და თქვენ, ციურო კლეოპატრა, ეს ჩასთვალეთ თავსებოთ რეზონულ რჩევად, დარწმუნდით ჩემი სალიტერატურო კარიერის უიმედობაში და როგორც ასეთს, უარი მტკიცეთ...

ამაო იყო ჩემი აღთქმები, რომ მე კვლავ დავწერ რომანებს, მათ შორის შედეგურებსაც, რომ ნაყოფიერად ვიმუშავებ დრამატურგიაში, რომ ერთი ტრადიციის სათაური („კლეოპატრა!“) მოფიქრებულიც მაქვს...

ამაო იყო...
და მე ავეყირდი, ვითარცა ვირი, ვირი ყველასგან დავიწყებული... თუმცა, ამაო იყო ჩემი ყვირილიც.

და მე გადავწყვიტე ამომესუნთქა უკანასკნელად, ე. ი. მომეკლა თავი. შევეუდექი სათანადო საშუალებათა ძებნას.

რითი მომეკლა თავი?

გადავწყვიტე — რეგულვრით, მაგრამ ასეთი იარაღი მე არ გამაჩნია, ისე კი ვინ ვათხოვებ?

ჯერი მიდგა სანადირო თოფზე. თოფი მართალია, ვიშოვე, მაგრამ ვერც საფანტი, ვერც ჟაკანი ვერ აღმოვაჩინე მონკავშირის მალაზიაში...

ვირჩიე ცივი იარაღი: ხანჯალი. ხანჯალი სადა არის ხანჯალი? საკომისიო მალაზიაში მივედი, დამიფასეს, ნახევარი თვის ხელფასად და გიჟი ვარ ამდენი ფული მივცე?

შემდეგ ჩვეულებრივი სუფრის დანა მომაგონდა, მაგრამ რა რომანტიკაა სუფრის დანაში?...

მინდოდა მეოთხე სართულიდან გადმოვარდნა, ოღონდ აქაც გადამელოდა დაბრკოლება: ასეთი სიმალლიდან შეიძლება თავი გაიხეთქო, კისერიც მოიტეხო, მაგრამ კი არ მოკვდე. შემდეგ დაიწყება ოპერაციები, ქირურგიული ჩარევა და კონსილიუმები. ამეებს კი მე ვერ ვიტან...

რა უნდა მექნა? წავედი ზოოპარკში, რომ რომელიმე თავხეხელადებული ლომის გალიაში შევარდნილიყავ და იქ დამემთავრებინა ეს უიღბლო რომანი. წავედი, ბილეთიც ავიღე, მაგრამ გალიაში შემიშვეს კი არა, ახლოსაც არ მიმაკარეს.

ტრამვაის ქვეშ ჩავარდნა? ეს ხომ გაცვეთილი ტრაფარეტი იქნებოდა და თან მოძრაობის შეფერხებასაც გამოიწვევდა.

თოკით ჩამოხრჩობა? ჯერ ერთი, მე საკმაოდ მძიმე ვარ (82 კილო 325 გრ.), თანაც ჩვენი მალაზიის თოკის იმედს ვერ ვიქონიებ. შეიძლება შუაგზაზე გაწყდეს და ნახევრად — დამხრჩვავი დამტოვოს.

ბოლოს ისევ თავის მოწამვლა ვამჯობინე. ეს არც ისე სადავიდარაბოა. მაგრამ არც ერთმა ექიმმა არც დარიშხანა, არც ქეძაფი და არც ოლეუმ რიციანი არ გამომიწერა. იოდის დაღვევა კი არც ისე რადიკალურია, პირიქით — იოდს ზოგიერთი გულის სისუსტის საწინააღმდეგოდ სვამს. ამას გარდა, თუ მაშინვე არ მოკვდი, გამოუძახებენ სასწრაფო დახმარებას და უნდა უტადო სამი დღე... მერე ზონდების გადაყლაპვა, მერე კუჭის რეცხვა... არ ღირს.

ოჰ, კლეოპატრა...
ახლა ვზივარ სანაპირო ქუჩაზე, რათა მტკვარში გადავვარდე. ირგვლივ ხალხი დადის, იციან, მხიარულობენ. მე კი ვზივარ და ვწერ ამ უკანასკნელ სტრიქონებს... ოჰ, ოჰ... ცოტას შევისვენებ და მერე გადავვარდები, თუმცა ნაპირი მალაღია და წყალიც, ეტყობა, ცივია... ამას გარდა, რომელიმე მაშველმა რომ საშველი წრე მესროლოს და თავში გამარტყას, ხომ გამიხეთქა თავი!...

სანაპირო ქუჩა... ხეივანები... მორთული ხალხი... ლამაზი ქალები... თუმცა მე მათ ყურადღებას არ ვაქცევ. მე, რომელმაც დაგკარგე შენ, ვილასთვის მცხელა?...

მაინც რა დაჟინებით მიტკერის ეს ქალი? მე ხომ მალე მტკვარი ჩამყლაპავს... მანამდე კი ეს ქალი მყლაპავს თვალებით...

აი, მომიხლოვდა... გაცნობა თუ შეიძლებაო, მეკითხება... გავიცნო? გავიცნობ, იქნება ამან, დახრჩობის მომენტში, მაინც დამაყაროს ორიოდ წვეთი კურცხალი...

...ღმერთო მომეკალი! ეს ქალი, მე რომ უცნობი მეგონა, ჩვენი კულტურის ახალი გამგე არ ყოფილა! თურმე მე რედკოლეგიაში აურჩევდვარ, მთხოვს, დავენმარო კედლის გაზეთის გამოშვებაში... მივდივარ, მივდივარ... მშვიდობით, კლეოპატრა, რომლის ნამდვილი სახელია ეკვირინე... მე დასახრჩობი თავი არა მაქვს: რედკოლეგიის წევრი ვარ...


კოლიგეზალინობაზე

„თვითგანვითარების დარგში ერთგვარი წარმატების მიუხედავად, გურჯაანის რაიონის პარტორგანიზაციებს ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებთ...“ (გაზ. „კომუნისტი“, 9/II—1941 წ.)

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



პროპაგანდისტი — რატომ არ მიპასუხებთ? თქვენთვის ძნელია ეს კითხვა? მოკლასუხე — კითხვა მარტივია, მაგრამ პასუხი შეძნელება...



— თქვენს თხოვნაზე უარი გეთქვათ. სამუშაოზე თავისუფალი ადგილი სრულებით არა გვაქვს.
— გთხოვთ ხმამაღლა მითხრათ, ხმენა არ მივარგა.
— ყრუ ხარ? — ასე გეთქვა, გნიშნავ საჩივართა ბიუროს გამგედ.

კაგარა მოთხრობები

თ ა ვ ა ზ ი ა ნ ი

სალამოს 6 საათზე გასტრონომის მაღაზიასთან შესამჩნევი რიგი გაჩნდა.

მერი გუბელი, რომელიც ის ის იყო სამსახურიდან. დაბრუნდა, რიგში მდგომებს შეუერთდა.

— კამფეტს ყიდიან? — ჰკითხა მან ერთერთ მოქალაქეს.

— არა, კამფეტი ურიგოდ არის.

— პოვიდლოა?

— ისიც ურიგოდ არის.

— კარაქია?

— არა. კარაქს მეორე გასტრონომში ყიდიან.

— მაშ რისთვის დგებართ?

— შაქრისათვის.

მერიმ გადასწყვიტა, რომ ეყიდნა შაქარი. როცა მერის წან მდგომ მოქალაქის რიგი მოვიდა ზემოაღნიშნულმა იმ ვარაუდით, რომ თან ხუთი წლის ბავშვიც ახლდა, მოლარეს მიმართა:

— მომეცით ორი ჩეკი, ბავშვი თან მახლავს, ხომ ხედავთ? — და თან მოლარეს ექვსი მანეთი და ორი აბაზი გაუწოდა.

მოლარემ ფულს თვალი უკმაყოფილოდ შეავლო და მწყურალად წარმოსთქვა:

— არავითარ შემთხვევაში! ნორმაზე მეტის გაღება არავიფე არ შეიძლება.

მოქალაქე მოლარის სიტყვებს დაემორჩილა.

ამის შემდეგ მერის რიგიც მოვიდა. მან მოლარეს სამი სამმანეთიანი გაუწოდა და კვლავ ორი ჩეკი მოსთხოვა.

— წაიღეთ გენაცვალე, მხოლოდ ხურდა არ შექნება.

ქეთო მერელი

რაციონალიზატორი

ტრესტის დირექტორი ჩინჩხვაცე აღელვებული იყო.

— აუტანელია სახელმწიფო სახსრების ასე უწესოდ ფლანგვა. ეს-ეს არის რაიონიდან სავანელის მიერ გამოგზავნილი მეორე ელვა-დეპეშა მივიღე. ახლავე გაეცით სასტიკი განკარგულება ყველა ჩვენი ტრესტისადმი დაქვემდებარებული ორგანოების მიმართ, რომ დღეის შემდეგ მათ ეკრძალებათ გაგზავნონ ელვა-დეპეშა ჩემს ნებადაურთველად.

აკაკანდენ რემინგტონის ასოები. დაიდრინენ ცირკულიარები. სამი დღის შემდეგ სავანელის ჩვეულებრივი დეპეშა მოვიდა შორეულ აღმოსავლეთიდან ელვა-დეპეშით გვთხოვენ პა-

სუხს მათ მიერ მოცემული დაკვეთის შესრულების შესახებ. გთხოვთ სასწრაფოდ მომცეთ უფლება, რომ ელვა-დეპეშით ვუპასუხო.

დირექტორმა ჩინჩხვაცემ ელვა-დეპეშით მისცა ნებაართვა სავანელს შორეულ აღმოსავლეთელ დამკვეთელისათვის ელვა-დეპეშით პასუხის გაგზავნის შესახებ.

გადაწყვეტი ღონისძიება

რაიონულ თეატრის დირექტორი საგონებელში იყო ჩავარდნილი; მაგიდაზე გაზეთი ედგა და შიგ მებუთეჯერ კითხულობდა:

ჩვენი რაიონის საკოლმეურნეო თეატრის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო გარღვევისაგან თავის დაღწევა. მთელი სეზონის განმავლობაში დასმა მხოლოდ ერთადერთი პიესა — „არსენა“ მოამზადა დასადგმელად და მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელმა მნახველებს თავი მოაბეზრა და დასახელებულ წარმოდგენას აღარავინ ეკარება, თეატრის ადმინისტრაცია მაინც იმავე პიესას იმეორებს.

— უნდა მივიღოთ გადაწყვეტი ღონისძიება, — განაცხადა თათბირზე რეჟისორმა. რეჟისორს მსახიობებიც დაეთანხმნენ და მართლაც გადაწყვეტი ღონისძიება მიიღეს:

სტამბას შეუკვეთეს ახალი აფიშა, რომელშიც ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ პიესის სახელის „არსენას“ ნაცვლად, უფრო დიდი ასოებით ეწერა: „ბიჭი არსენა“.

სიპიტო


ავალიანტის ქუჩა (თბილისი, 26 კომ. რაიონი) წვიმისგან მიფარულია მიწისფერითა და გაცოცხლებულია არ არის და მხოლოდ ერთი-ერთი დასოფლიანი.



— გამაკეთა კაცი ამ ნიადაგმა, იქნა მხრედების ათი კაცი ფული მეშარია და უვლახავან განთავისუფლებული...

საინჟინერო მოსალო

ტოპოგრაფიკის საინჟინერო-საგეოდეზიო სკოლაში წულის გასაყვანი მოღვაწეობის თხრობის ჩაწერა და სტიქიამ მიწა აღარ დაადარეს.



— ჩავიბნე არ დაავრთი მიწას? — ჩაუე ვიწვალთ, როცა გაფუტები ბომ უკანე ამოსაწყობა გახდება.

მოსწავლი


საფხვან (ვარლან რაიონი) საშუალო სკოლის წითელი ჯვრის ორგანიზაცია არაფერს აკეთებს.



— მოხერხებული ბიჭია ჩვენი ხელმძღვანელი: დღის ფიქრის შემდეგ წითელი ჯვრის ორგანიზაციის საქმეს ფერად დაუბნებ.

საპარტოეო მუშაკის რეპრეზენტაცია

სოფ. ინტენსივის (ლაგოდეის რაიონი) კლუბში არ ეწვობა საღამო წარმოდგენები და სხვა კულტურათობები.



— ძვირფასო მსუფრებლებო, ანგინთ დაბადების ნიადაგზე დღის მამ-ლიკი კულტურატობის გამოხდლა არ შეხდება; მის მაგერ მოხსნინეთ "უნეცვალე კლუბის გამგე" უვება უჩანტკობის უხერხულებით.

გზისმო სახლის სასაფლაო


თბილისის გზებში სახლის სასაფლაოში ჩანგალი არ არის.



— ცინიდან თქვენს სახადლოში ჩანგალი არ არის, ჩემი საყოფარი ჩანგალი მოგვიღი. აჰა! იგვიეთ!

მონიჭილხვადება

სოფ. პრეტვილი ინტენსივის (ვარლან რაიონი) სკოლა გლეხის სახლში მოთავსებული. სახლის ზურგი ჩამოხრებული აქვს.



სახლის პატრონი:— ბიებო, ჩარდაში მამალს დავდევ და მანდ თუ ჩამოფრინდეს ვინმეო არსად გაუშვათ!

ქუთაისის მისაპლანო

ოკრპოში (ტეზბულის რაიონი) არ არის ფუნქსიონალური შეწყობილი სახლდრო. მსოფრებებს ქუთაისში უხვებით ჩამოსვლა ფუნქსიონალური შესაძლებელია.




— ნეტავი არ გამეზადა, როგორ გავიფო ახლა, რომელი იყო ახალი და რომელი დასაკერებელი?



— ბავშვებ სურა ჩან წამოხიტირებია, არ იცი რომ გაზაფხულზე ამომსფრული ნაღმები ძალზე ბევრია.

ნაწინას პრ ჩამოფრინება

ბიჭ. ნაწინას (მთიანეთის რაიონი) სკოლაში ბიჭი არა ატეხ და წაუხსნ ვეფელი ერთ დიდ დოქტორს სემან.




— ნუ თუ ახე წყურთადა ამ შერევერებულს?

სახეხილხვადება

სოფელ საქობის (სოხალის რაიონი) კოლმეურნების თავმჯდომარემ მ. კვლავიშვილმა კოლმეურნებმა საწველ ფურად გადატყია.



— ვინ თქვა ჩემზე არაუფრის აკეთების? — ამდენ პანას ენერგია არ უნდა?



ერთი ძველი მეგობარი მოფერი მყავს. — შეხედავ—კაცია, საქმე კაცური აქვს და სიტყვა-პასუხსაც ნუ იკითხავთ, „გველსა ხერხელთ გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო“ — იმაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ ამას კი დავსძენთ, რომ თავისი ენით იგი ყვავს ხიდან ჩამოაგდებს.

პირადათ ჩემგან ის მოფერი იმით განირჩევა, რომ ჩემზე — დაბალია და წვრილი. ალბად ბუნებას ასე იმიტომ შეუქმნია, რომ კატასტროფებიდან მოხერხებულად გამოძვრეს, ანდა ხალტურაზე ისე იაროს, რომ არაფერ შენიშნოს. რას იზამთ, ბედია!

არა ერთი და ორი მოქალაქე მინახავს მოფერებს რომ აგინებდა, მაგრამ მე კი მათ პატივისცემას ვერ აუვალ.

— ისეთი რა პატივი დაგდეს მოფერებმაო. ამას, სანამ ამ წერილს ბოლომდე არ ჩაიკითხავთ ნუ შემეკითხებით.

ერთ ქალს ვიცნობ, რომელსაც პასპორტში ელპიტე ყარამანოვანა უწერია, ხოლო თვითონ მითხრა: ელიკო მქვიანო. არც ერთი სახელი მომეწონა და არც მეორე. ამიტომ ელეონორა შევარქვი და იმანაც გადაიხარხარა.

— ჩინებული სახელია, რომანტიული... და მეც დავუახლოვდი ამ რომანტიულ არსებას; რადგან მომეწონა იმ ჩემი მეგობარი მოფერის სიტყვებით რომ ვთქვაო, მისმა ეშმა „ფლაგი დამიხია“.

ელეონორა ქალი იყო და ეშნი ჰქონდა, ლოყები ფრჩხილების ლაქივით წითლად უღაჟღავნებდა, წყლის ფერ თვალებს გამკვირვალედ

ახამხამებდა, ხოლო ორი წარბი ორი წურბელივით აჩნდა და წამწამებიც ისე მსხვილი და შავი ჰქონდა. ხანდისხან ნიაფი რომ შეუბერავდა, ასეთი ეშნიან სახეზე ჩამოეფანტებოდა ჩალისფერი კულულები და, გულახდილად უნდა განვაცხადო, ხატავდა პირდაპირ.

ერთხელ, ერთი დღის ერთ საღამოს, ჩვენ შევხვდით ერთმანეთს საბჭოს ქუჩის ერთი სახლის წინ. თეატრში წასვლისთვის ჯერ აღრე იყო და გავყევით ამ ქუჩას. რა გვენადღებოდა, ბილეთები ჯიბეში მქონდა და „მარგალიტა გოტიე“, სად წავგივიდოდა?

უცებ ცას ნერვები აეშალა, სახეზე ჩადრი ჩამოეფარა და დასცხო თბილისური ზორბა წვიმა. წვიმის წვეთები ჩემს გასაჯავრებლად ისე წკაპუნებდნენ, რომ პალტოზე კი არა, გულზედაც მეცემოდნენ.

— მარგალიტასავით მეც უბედური ვარ! — შემომჩვილა ელეონორამ და თანაც ერთ ქუჩაში შეუხვია. გამოჩნდა პლენხანოვის პროსპექტი. მიუხედავად წვიმის გიჟური წინააღმდეგობისა, ჩვენ გვზი „მარგალიტა გოტიესაკენ“ ავიღეთ.

— მარგალიტ, ჩემო მარგალიტ! — არ ისვენებდა ელეონორა, თანაც სწყევლიდა წვიმას და მის მომგონსაც.

გაჩირაღდნებულ ქუჩაზე უკვე ტალახის ტბორები დამდგარიყო. ჩვენ ძალიან ფრთხილად მივიღოდით. რა გვენადღებოდა, პალტოებითა და კალოშებით ვიყავით შეიარაღებულნი, თუმცა ქოლგის მსგავსი არაფერი გავაჩნდა.

საიდანღაც გამოჩნდა ავტომობილი. ჩვენ, თბილისელი მოფერების ოინები რომ ვიცით,

სწორედ ამიტომ იყო კედელს აფიშასავით მივეკარით, მაგრამ იმ დროსვე შევხვდით ალბად შეგვნიშნა, რომ მსუვერიდებოდით, ჩვენსკენ გამოქანდა და ტალახიანი შეხეფები ინტრიგანის სიტყვებით მოგვაყარა. ელეონორამ რამდენიმე დასტა წყევლა გაუგზავნა მოფერს. მე კი — ჩემს თავზე მომივიდა ჯავრი. დღესაც ვერ გამოვიგა, თუ რატომ მივეკარით კედელს ზურგით და არა მკერდით, მაშინ ხომ სახეზე ტალახი არ მოგვხვდებოდა და ელეონორა ჩემი იქნებოდა.

— რა ვქნა ახლა, რა ვუყო ახლა „მარგალიტას“? — მოსთქვამდა ელეონორა. ცხვირსახოცი იწმენდა პალტოს.

— იმას რაც უყვეს ის ეყოფა! — ვუთხარი მე და სახეზე რომ შევხედე, შემეცოდა, ერთ ორ ადგილას რომ ჰქონოდა ტალახი მოხვედრილი, არა უშავდა, ხალიაო იტყოდა კაცი, თავს გაიტანდა, მაგრამ ასე ჭორფლიც არ აუჭრელებდა სახეს.

ბოლოს ერთი აზრი მომივიდა და ჩემი „გოტიეც“ დამეთანხმა. მოვანხეთ ერთი ეზო და ეზოში წყალი, შევუღვეით ხელპირის დაბანას, მაგრამ მოშხეფებულ ტალახში რამდენიმე დოზა მაშუთი ყოფილა თურმე არეული და არ შეგკამოს ჭირმა — ჩვენი სიფათების გასუფთავებას საშველი არ დაადგებოდა, იმ ეზოში ერთი გულკეთილი ქალი რომ არ აღმოჩენილიყო, იმ ქალმა მოგვაწოდა საპონი და როგორც იქნა დავეკრიალეთ სახეები. ამავე დროს იმ ქალმა შეგვვატყუა.

— სარკეში ჩაიხედეთ შეილებო, თმები გაი-სწორეთო. — ამაზე მე სიამოვნებით დავთანხმდი, ელეონორამ ცოტა ფეხი აითრია, მაგრამ როგორც იქნა, იგიც შემოიყვანა კეთილმა დიასახლისმა.

— თეატრში ხომ არ დავგიგვიანდება? — ამ შეკითხვაზე მე მოვიხედე და რას ვხედავ! სად არის ჩემი ელეონორა. სახეს ფრჩხილების ლაქი გადასცლოდა, წარბებიდან და წამწამებიდან წურბლები ჩამოერეცხა და თმა, ჩალისფერი კულულები, ყვავის ბუდესავით ხელში ეკაფა.

— ელეონორა... ნამდვილი ხარ, თუ მოჩვენება! — შევძახე მე.

— მოჩვენება შენა ხარ, — მომაკვივლა მან და ყვავის ბუდე რომ მესროლა, თავზე ჩამომეფხატა. მეც მოვიქნიე ეს „პარიკი“ და საუბედუროდ ელნათურს მოხვდა და შექვი ჩაქრა, დაბნელდა.

— უი, რა ვქნა ახლა, რა ჯურის ხალხი ხართ, შეილებო! — გავვიგონე დიასახლისის ხმა. ელეონორა სიბნელეში დამეძებდა, მისი დანიკურებული ფრჩხილები ხანჯალივით ლაპლაპებდა. შემეშინდა, კარებიდან მოხერხებულად გამოვძვერი და სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე.

— ეს რა გრიმებია, რა საღებავები! — ვბუტბუტებდი და თვალწინ ათას გვარი პომადა, პუდრი, საღებავი, „პარიკი“ და რა ვიცი რა არ მიტრიალებდა.

— არა ძმაო, ის ჩემი სიყრმის მეგობარი მოფერი კარგი კაცია. არც ავარიებს ახდენს, არც იგინება, პირიდან შექარყინული ამოსდის, მაღალიც არის, ზორბაც, ბოდიში მოფერო... მადლობა მოფერებს.

გაუკანონი სიხარული

(შემთხვევა სტუდენტთა სასადილოში)

დღის ოთხი საათი იქნებოდა, როცა მწვავე სიმშლი ვიგრძენი. მოვიქევე ჯიბე და რა დავრწმუნდი, რომ ცოტაოდენი გროშები დამჩინოდა, მივაშურე სტუდენტთა სასადილოს. წვალებისა და დიდი ბრძოლის შემდეგ როგორც იქნა ავიღე კერძი, დავჯექი და დავიწყე ჰამა.

უცებ შევნიშნე: ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი დაქინებით მიცქერდა.

ისე ავირიე, როგორც იმერული აჯაფსანდალი. თან გავიფიქრე: ნეტავ რა მოეწონა ჩემი? ჩემზედ უკეთესი ვერაფერ ნახა? არა, ნამდვილად ჩაუვარდი გულში. მეც ნაჩუქარ ინდოურივით გავიბღინძე, შევისწორე ხალათი და ფაქიზად დავიწყე ჰამა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მშობიდა, ჰამის ტემპი შევანელე და ჩემდა უნებურად იმ ქალიშვილისაკენ დავიწყე ცქერა. დავითრიე ჩანგლით ერთი კარგა მოზრდილი ლუკმა და პირის მაგივრად ყურისაკენ გავაქანე. ამ წვალებაში რომ ვიყავი ის ქალიშვილი უკვე მომიახლოვდა და მითხრა:

— უკაცრავად, გელოდები!

მისი ხმის გავგონებისთანავე ელექტრონის უთოსავით გავხურდი. მაგრამ საქმეს რომ ჩავუფიქრდი, უეცრადვე ყინვასავით გავცივდი. აშკარა იყო, რომ იმ ქალს მე კი არ მოეწონდი, არამედ ჩემი ადგილის დაკავება უნდოდა.

ენაუთქმელად ავდექი. ის ქალი კი, რომელიც ციურ ანგელოზად მიმაჩნდა, ჩემს სკამზე დასკუბდა, ჩანგალი გვერდზე გადასდო და ხუთივე თითებით დაიწყო ბულამის ჰანა.

მე თავი დავღუნე და ნახევრად მშვიერი გამოვიპარე გარეთ.



ჭიათურის საჰაერო საზღვაო

ჭიათურაში რა არ გვაქვს?
საჰაერო საზღვაო აქ არი.
თუმც იმის გამგეს არ ესმის,
რომ ჩაის უნდა შაქარი.
ნიაზგო, შენ გენაცვალე,
ერთი იმ გამგეს გაჰკარი.

გაჰკარი მოწაფეებსაც
აქაურ მოზრდილთ სკოლისა,
რომ უყვართ იქ დროს ტარება,
მტვრევა სკამის და სტოლისა.

ყაზული

უსტარი თინასადმი


(ორჯონიძის რ. სოფ. მონაწილეობაში)
არა, არ მსურდა შენზე
საყვედურები მეთქვა—
სანამ მინათებს მე მზე,
გულს შეუძლია ფეთქება.
მაგრამ მაკვირებს რა ხარ,
რატომ არაფერს დარდობ?
მოვალეობას სტოვებ
და შენთვის ნაფარდობ.
ბიბლიოთეკას, გვითხარ,
უდროოდ რადა ჰკეტავ?
მკითხველთა ინტერესზე
რატომ არ ფიქრობ ნეტავ?
იქნება გუნებაზე
არა ხარ ქალო თინა?
მაშინ მიიღე ჩქარა
„ნიანგის“ ქინა-ქინა.

ავთანდილ მაჭათუბენი

მხიარული პროექტი

მოქალაქეებს, განსაკუთრებით თბილისის გარემოებაში ხშირად უზღვევთ ტრამვაებისა და ავტომობილების ლოდინი და ზოგჯერ კი გაურკვეველ მდგომარეობაშიც ვარდებიან: იცდიან გაჩერებასთან და არ იციან მოვა ტრანსპორტი თუ არა. ნიანგი ითვალისწინებს რა ამ მდგომარეობას, აქვეყნებს თავის გამოგონებას, რომლის გამოყენებითაც ამიერიდან ყველა მოქალაქეს შეუძლია გაიგოს — მოძრაობს თუ არა სადმე „ქუჩის ჰორიზონტზე“ ტრანსპორტი და თუ არ მოძრაობს, თავს უშველოს.

ნახ. გ. ისაევისა



A — ანტენა, რომელიც იჭერს ტრანსპორტის ხმას. B — სვეტები ანტენის დასამაგრებლად, C — ღვედი ანტენის მისამაგრებლად მოქალაქის ტანზე. D — მავთული ანტენის ყურმილთან შესაერთებლად. E — ყურმილი.

ამბობენ

(ჩხორაოვსუ)

ამბობდნენ ჩხორაოვსუში და აბანო აშენდებო, ისეთი ფართო რომ შიგნიც ცხენიც კი გაქენდებო; მღულარე წყალი მიღებში ტალღებად მოზღვადებო, და მთელი მოსახლეობის სურვილი ასრულდებო. ამბობდნენ კიდევ ასრულდა თვალი არ მოტყუდებო, დაიწყეს მშენებლობა და გულს სიხალისე ზედებო. ეს იყო ექვსი წლის წინად შენება კვლავ ფრქველდებო, სახურავ გადააგლეჯილი აბანო ცრემლად დნებო: რადგან შიგ მცხოვრებ ცხოველთა საპირფარეშოდ ზდებო, და ტაბალუს ჭრელი თხა ბალეტმეისტრად დგებო, ამბობენ: ხუთი წლის შემდეგ შენობა დამთავრდებო, და ამდენი ხნის სურვილი ერბაზად ასრულდებო!

დ. ბალოსანი


გულკეთილი გუზავი

გაზაფხულის ერთერთი საუცხოო სადამო იდგა როცა სოფ. ნაგომარის (მაზარაძის რაიონი) მერვე საკოლმეურნეო ბრიგადის ჩაის პლანტაციების ირგვლივ შემოვლებულ ლობეს ჩუმად მიუახლოვდა ამე სოფლის მცხოვრებნი შოთა ანთაძე, ირგვლივ მიიხედა-მოიხედა, ხომ არავინ მიცქერისო, შემდეგ უეცრად ებღღვნა ლობეს ხელად მიღწე-მოღწეა, ფიჩხი ვირს აკიდა და როცა სახლისაკენ გაემგზავრა, უეცრად უკანიდან ვილაქამ მიაცვირა: „არიქა ბიჭო შოთაია, ერთი ჭიკო ჩამოგივარდა და აიღე თუ კაცი ხარ არ დაგეკარგოსო“.

ანთაძემ უკან მიიხედა და ღიმილით შეხედა მხარეთეძოზე წამოწოლილ იმავე პლანტაციების ყარაულ ვასილ ცინცაძეს, რომელიც ამ სიტყვების შემდეგ მერვე მხარეს გადაბრუნდა და კვლავ ტკბილ ძილს მისცა თავი.

ხერხი სჯობია ღონესო

ორი კილომეტრი იყო დარჩენილი კიდევ დარჩენილის (ხუტდის რაიონი) სოფ. საბჭომდე, როცა ამავ საბჭოს საგზაო სექციის თავმჯდომარე კორნიოზმა უეცრად გზას გადაუხვია და ყანებისაკენ გასწია, თან გულში ამბობდა, რომ „შორს მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო“, ისევ ხუთი კილომეტრის უფხოთ სიარული სჯობს ვიდრე ამ გზაზე ტალახში ჩაწრება.



15/II

შხიანი ამინდი დადგა. თითქო ბუნება ჯიბრში მიდგასო — ზე-
დიზედ სიცხეებიც კი დაიჭირა. ჩემს გახუნებულ კოსტუმს არ უნდა
უზრდელობა გამოიჩინოს და მხეს თვალი გაუსწოროს: პალტოს ქვეშ
იმალება. დღეს მე 6 „მკერავის“ განცხადება ამოვიკითხე გაზეთში:
„მობრძანდით, დაუკვეთეთ“ — იტყობინება, დროა ახალ კოსტუმზე
ვიზრუნო.

20/II

500 მანეთი ჩავიდე ჯიბეში და „მკერავს“ მივაშურე. დაკვეთის
მსურველი ძველებურად ბევრი აღარ სჩანს, ამოვარჩიე მატერია,
220 მანეთი აწერია ფასი. გამომპრელმა გუშჩამ კარგახანს მატერია-
ლა აქეთ — იქით. ბოლოს რაღაცა ციფრებზე ხელი მომაწერინა და
დამაიშედა. „შესანიშნავი კოსტუმი გამოვა, ასე, ცხრაას მანეთზე მე-
ტი არ დაგიჯდებაო“, სალაროს მივაშურე დაკვეთის გასაფორმე-
ბლად. იქ 228 მანეთად მიანგარიშეს მეტრი მატერია. უცნაურმა
ფიქრმა წამილო: „ოც წუთში თუ რვა მანეთით მოიმატა მატერიის
ფასმა. ერთი თვის მერმე, როცა ჩემი კოსტუმი მზად იქნება, რა
უნდა დაჯდეს“. მაგრამ ვილაცამ „დამაიშედა“: „აქ წინასწარ ფასი
არ იციან რა დაჯდება, ნუ გეშინიანო!...“ მესამე სალაროს მივადე-
ქი. ორასი მანეთი მქონდა განსაზღვრული ბეთ. ამდენს ვუტოვებდი
ხოლმე ყოველთვის. ახლა 600 მანეთი მომთხოვეს: 70 პროცენტის
შეტანა ყოფილა საჭირო დაკვეთის დროს. ამდენი ფული თან არა
მაქვს, ხვალ უნდა მოვიდე ისევ.

5/III

დღეს ჩაზომვაზე ვიყავი. გუშჩამ ცარკით შემომხაზა ყველაფერი
საუცხოო კოსტუმი გამოვანო, მითხრა. ცხრაასლოცდაათმანეთზე
მეტი არ დაგიჯდებაო. ოცისთვის უნდა იყოს მზად ჩემი კოსტუმი.
საბოლოო ფასი მინდა გავიგო; „გულუბრყვილო ყოფილხარო“ —
ყველამ მითხრა.

20/III

ლამის არის ვიცევეო სიხარულსაგან: დღეს ჩემი კოსტუმი მზად
უნდა იყოს! პირდაპირ ბავშვივით ვცუნცრუვობ და არ ვიცი რატომ
მიხარია ასე ახალი კოსტუმი. მაგრამ; „კაცი ბჭობდა და „მკერავის“
დირექტორი იცინოდა“, ტყვილად არ ყოფილა ნათქვამი. ოთხასი
მანეთი კიდევ ჩავიდე ჯიბეში და გავფრინდი ფაბრიკისაკენ. აქ მყუ-
დროებაა: „დღეს არ გვცალიანო“, ამბობენ. 23 მარტისთვის დამი-
ბარეს.

23/III

კოსტუმის დასახსნელად მოვედი. რიგი გაიმართა. მე — 10 კაცი
ვარ. დღის ორი საათია და გულს არ ვიტეხ: 10 კაცი, რა ღმერთი
გაუწყრებათ, რომ ერთ საათში არ გაისტუმრონ. რიგში მეყვინთება,
მეოთხე საათი გახდა და ჯერ მხოლოდ სამი კაცი გაისტუმრეს. საი-
ღუმლოების გამორკვევას ვცდილობ: ნუთუ ერთი კაცის ქვითარის
გამოწერას 30 წუთი სჭირდება?! მაგრამ, აი, თურმე რაში ყოფილა
საქმე: ყოველ კაცს ათასი ნაცნობი მაინც ჰყავს და განა „მკერავის“
თანამშრომლები სხვაზე ნაკლებნი არიან? ჰკრებენ ნაცნობთა ქვით-
რებს, შეაქვთ საამქროში და აქედან აწვდიან გამფორმებელ — მო-
ლარეს. „მკერავის“ შოფერმა ვილაც ქალი შეიყვანა საამქროში, და-
კვეთას უფორმებს, მინდა ვუსაყვედურო, რომ ამდენი ხალხის დაცი-
ნვა ვერაფერი ზრდილობა ვერ არის, მაგრამ შოფერი კამეჩის სიშ-
მაგით მიტევეს; „ჩემს კონტროლად ვინ დაგაყენაო.“ დირექტორს მი-
ვმართე, მოვახსენე ამ უწყსოების შესახებ. ისიც გაბრაზდა: შენ
ურიგოთ გინდა გაშვება, მაგრამ პრინციპის გულმობიზა არ გაგიშვე-
ბო. იმის მაგიერ, რომ ფაქტი შეემოწმებინა გამიგულისდა და მით-
ხრა: „ის ქალი ჩემი ნაცნობია, მე გავავაზენე ურიგოდ, სადაც გინ-
და წადი და მიჩვილეო“. ჩემს გვერდით მდგომ მოქალაქეს „აფორი-

ზმი“ აღმოხდა: „საინტერესოა, ამ პატარა ქალს საიდან აქვს ასეთი
დიდი გული.“ ბედს დავემორჩილე. მეათე კაცი ხუთ საათამდე ვიდე-
ქი რიგში, პროტექციამ თავისი გაიტანა, სამ საათს ტყვილა ვიყურ-
ებდი და არაფერს ვინაღვლებდი; რომ ახალი ამბავი არ შემეტყუა:
მოლარემ არც გამომპრელ გუშჩას დაუჯერა, არც სხვის მოლოდინს,
არც ჩემს ჯიბეს და ცხრაასი მანეთის მაგიერ ათასოცდათექვსმეტი
მანეთი გამომიყვანა გადასახდელი. ხვალ უნდა მოვიდე, ფული არ მყო-
ფნის. აფსუს დაკარგულო დროვ და ნერვებო!

24/III

კიდევ ცდა, კიდევ ლოდინი. მეღირსა როგორც იყო! უკანასკნელ
ფანჯრიდან შემეკითხნენ „ხომ არ გაიზომავთ?“ მთელი თვის ოცნება
შემისრულდა და უარს როგორ ვეტყვი! პიდჟაკი ჩავიცვი... კი არ
ჩავიცვი შიგ ჩავარდი. საამქროს უფროსმა არსენამ გამოიცნო: უქი-
ლეტოთ გაცვია და იმიტომ გაქვს დიდი“. მეუბნება, მამშვიდებს
და მომავალ სიკეთეს მისურვებს. „იქნებ ჟილეტით გამისინჯოთ“
ვამბობ და სალოდინო ნერვები მიხტია. ჟილეტს დაეძებენ,
ვერ იპოვეს. გარეთ ხალხი იცდის, სხვასაც უნდა გაისინჯოს, სხვაც
ჩემსავით იღბლიანია და არსენა მეუბნება: „ტყვილად რაღას უცდი.
ჟილეტზე ანტიკასავით გექნება. გარედან მოუარე, ჟილეტს ვიპოვნით
და საქონელი წაიღე, ოქროა პირდაპირ“. ხმა აღარ ამოვიღე. სიხარუ-
ლისაგან ფეხზე ველარ ვჩერდები. მოხუცმა კაცმა ქალაქში ზრდი-
ლობიანად გამომიხვია კოსტუმი და გამოვეშურე. მაგრამ რა სისწრა-
ფითაც არ უნდა იარო, გზა უფრო გრძელდება! ეტლი დავიჭირავე...
სახლში ვარ!...

კოსტუმს ვიცვამ, მოთმინება აღარ მყოფნის. ჩავიცვი, მაგრამ...
აი, თურმე რატომ დავეკარგათ ჟილეტი ღილები არ ჰქონია დაკერებული!
მაგრამ ჯანდაბას, ღილებს მე თითონ დავაკერებ მერე. ინგლისურ
ქინძისთავით დავამაგრე ჟილეტი. პიდჟაკი ჩავიცვი, შარვალიც. გა-
რედ გამოვედი, მეზობლებს მინდა ვაჩვენო, რას იტყვიან. ეზოში
გამოჩენისთანავე ბავშვები ამედევენ:

- თავკომბალა! თავკომბალა!..
- ჭოტ!... ჭოტ!... — მომძახიან, ტაშს უკრავენ და იცინიან.
- ბიძაშენისაა? — შემეკითხა მეზობელი.
- შემტრცხვა. „დიახ“ მეთქი, დავუდასტურე.
- ფუტურისტია ბიძაშენი? — კვლავ მეკითხება იგივე მეზობელი.
- რაზე ამბობ? არა! — მიუფე.
- მაშ ეს რა არის? — შარვლის უკანა ჯიბე მაჩვენა. სხვა ფერის
ნაჭერი ჰქონდა ჩაკერებული და ბრჭყვინავდა.


„აღბად მართლაც რაღაც საშინელებაა“ — გავიფიქრე და შინი-
სკენ მოვუსვი. სარკეში ჩავიხედე: რას ნახავს თვალი! სასწრაფოდ
გავიძრე და ისევ „მკერავისაკენ“ მოვუსვი. უკვე გვიანია, აღარ მიმი-
ღეს.

25/III

კოსტუმი დავაბრუნე. „მერე რა არის, მითხრეს, მარტო შენ ხომ
არა ხარ ასეთ დღეშიო“, გადაკეთებას დამპირდნენ. ვინმე პასუხის-
მგებელი პირი მინდა ვნახო, მინდა შევატყობინო, რომ წარმოები-
დან წუნი გამატანეს. დირექტორს დავეძებ, არ არის. მოადგილე
ვიკითხე, არ გახლავთ, პარტკომის მდივანი — კი სხვაგან ყოფილა.
ერთ საათს ვიცადე“ არავინ მოვიდა. ვილაც ქალი დადის და ჰლა-
დადებს: „გაგიგონიათ რომ დეკემბრის აქეთ ერთი შარვალს ჰკე-
რავდნენ და ვერ შეკერონ?“. გულში მეციინება და ვამბობ: „ბედნი-
ერი ყოფილხარ. კიდევ კარგი რომ არ შეგიკერეს. არავინ დაგცი-
ნებს“... ოცდაცხრისთვის იქნება ჩემი გადაკეთებული კოსტუმი. მა-
ნამდე კი შემიძლია დავისვენო...




— დიდი მოლაყბე ყოფილა ეს სოკრატე! მეც კი ვიცი რომ არაფერი არ ვიცი, მაგრამ ქვეყანას კი არ ვეუბნები.



— რატომ არის, მამილო, რომ ამ ცხოველს უკანა ფეხები გრძელი აქვს და წინა კი მოკლე?
— არ ვიცი, ალბად წუნია.

ბერი არ სწყალობს


ნახ. ი. განფისა



— ისევ სძინავს? მაშასადამე, დღესაც ვერ შევძლებ იმის შემოწმებას, თუ როგორ მუშაობს.

რაციონალური წინადადება


ნახ. ნ. რადლოვისა



— არ ვიცი როგორ მოვიქცეთ, ამოდენა ნაგავი როგორ უნდა ავიღოთ?
— მართალს ამბობ, მაგის აღებას ჯობია ისევ ქარხანა ავიღოთ, [უფრო ადვილი იქნება.]

ბიჭო, პისი ხარ მაღაზიო!..


ნახ. ნ. რადლოვისა



— ჩვენი დამლაგებლები ამ ყმაწვილს თვალს არ აშორებენ.
— სიყვარული სრუკავთ?
— არა, დარაჯობენ, რომ ყოველ ხუთ წუთში მისგან დაყრილი ნაგავი აიღონ.

სხომას გარეყოლი ი

ნახ. ი. განფისა



— მე მანსოვს თქვენი სიჭაბუკე.
— ნუთუ თქვენ აქ ზინართ სხდომის დაწყებიდან?



გოგი თუ იხვი?..

ფრიად დამშეული შევედი აბაშის მთავარ სასადილოში. მადა განსაკუთრებით გამიღვიძეს შაშხმა, მსუქანმა ინდაურებმა, ქათმებმა, იხვებმა და აგრეთვე ბატებმა, რომლებმაც სავსე იყო აბაშის ბაზარი.

მე მხოლოდ იმის ფიქრში ვიყავი გართული, რა ამერჩია ამ მშვენიერ სასადილოში.

— მართალია, თქვენ ყველაფერი გექნებათ, მაგრამ მე მაინც პირველად ბურვაკის ხორცს ვირჩევდი, — მივმართე. — სასადილოს მუშაკებს.

მომიტანეთ ბურვაკი!

— სამწუხაროდ, ბურვაკი არა გვაქვს.

— ნდაა. მაშ საცივი იყოს.

— საცივიც არ არის.

— საკვირველია. მაშ მოიტათ იხვი, ან გოჭი.

— მოგართმევთ მაგრამ, არა გვაქვს.

— მაშ რა გაქვთ?

ცივი ლობიო და გუშინდელი ლომი.

— კი მაგრამ, ბაზარი რომ სავსეა პროდუქტებით, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ?

— მაგას ვჩივით ჩვენც, მარა კაცი ყურადღებას არ გვაქცევს... — შემომჩივლეს სასადილოს მუშაკებმა.

გული ამიჩუყა მათმა მდგომარეობამ და გარეთ გამოვარდი.

გოგო დანელი დამხმარე

გამოვარდი და პირდაპირ წუმბეში ჩავვარდი. ამოვარდი, ისევ ჩავვარდი, ისევ და ისევ.

ვინ იცის, რით ვათავდებოდა წუმბეში ჩემი ბანაობა, რომ ვიღაც გულის შემატკივარი მოქალაქე არ მომშველებოდა. მტაცა ხელი და ამომიყვანა.

გმადლობთ მეგობარო! — გულმხურვალედ ვუთხარი მე.

არავითარი მადლობა, — მომიჭრა მან, — თქვენი გადარჩენა ჩემი უშუალო მოვალეობაა.

— ვინ ბრძანდებით თქვენ?

— საგზაო განყოფილების უფროსი.

— ძალიან სასიამოვნო მაშ მასწავლეთ, რით ვწვიდე გულუხში, სამიქაოში, გეზათში, მაიდანში? ავტო სჯობს, ეტლი, თუ ცხენი?

— მე მგონია, ყველას კამეჩი აჯობებს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ტლაპოსი და ტალახის კამეჩს ნაკლებად ეშინია... გასაგები იყო ყველაფერი.

საიღუმლო კუნაული

გამოვეთხოვე და წავედი, რომ რადიო-სადგურიდან რადიო-მისალმება გადამეცა ჩემთვის იმჟამად მიუწვდომელი სოფლებისათვის.

ამხ. ნიანგო!

ამხ. ნ ი ა ნ გ ო!

სადგურ ინგირში (ზუგდიდის რაიონი) მატარებლის მომლოდინე მგზავრებს, მოსაცდელი ოთახის მოუწყობლობისა და ანტისანიტარული მდგომარეობის გამო, საშუალება არ აქვთ ოდნავ მაინც ჩასთვლინონ; სამაგიეროდ სადგურის ადმინისტრაციას კი არხეინად სძინავს. კარგი იქნება ამხ. ნიანგო, უკანასკნელთა გამოღვიძებას იკისრებდეთ თქვენი ნაცადი ჩანგლის წვერით.

ბიბი

ამხ. ნ ი ა ნ გ ო!

სოფელ ხორში (ცხაკიას რაიონი) ორი წელია რაც შეიქმნა კლუბის სააღმშენებლო კომისია, მაგრამ ამ კომისიამ დღემდე ვერაფერი შექმნა. ჩვენ ვფიქრობთ საჭიროა დაიშალოს ეს კომისია, რომ კლუბი აშენდეს. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა თქვენი ჩანგალი.

ირ. ტრფობიშვილი

ამხ. ნ ი ა ნ გ ო!

კლუბის უქონლობის გამო წუხელ სოფელ ქვედა ჩხოროწყუში ჩხოროწყუს რაიონი) წარმოდგენა მიზნდრად გაიმართა. შუა წარმოდგენისას კოკისპირული წვიმა მოვიდა, რასაც ნიღვარი მოჰყვა, ბევრი ფეხზე დგომით არაქათგამოლეული მაყურებელი გაიტაცა. რამდენიმე მათგანი უგზოუკელოდ დაიკარგა

ღერღეცი

შიგ შენობაში ველარ შევედი: მის წინ დიდი გუბე იდგა. რადიო-სადგური ფილოსოფიის საიდუმლო კუნძულივით იდგა ამ მორჩილთა გარემოცული.

მოდი, ძია, გავაპრიადო! — მომესმა, მშვენიერად დავის ხმა.

— რა აზრი აქვს გაპრიადებას ამ ტალახში?

— ის აზრი აქვს, რომ ხუთ წუთში ისევ გაპრიადება დაგვირდება და ჩემთვის კაი იქნება.

უხმოდ გამოვბრუნდი.

უჩაქოკრული ამბავი

ჩკინიგზის სადგურში შევედი და მგზავრების ლაპარაკს დავუგდე ყური.

— ძღაბო, გვიგე, ონტოფოში ბორმაშინა მოუტანიათ

— გაგისკდა მიწა! ბორმაშინა რაღაა?

— კბილს რომ ბურღავს.

— მერე ექიმი?

— რაიო! ბორმაშინა მოგიტანეს და ახლა კბილის ექიმიც მოგინდა? სხვა ექიმი რომელი გყავს მაინც და მაინც კბილის ექიმს რომ თხოვილობ?

* * *

— დავემდულროს ენა, ბურღულუ! — ეუბნებოდა სადგურის წინ ქალი ვაჟს.

— რას მერჩი ქალო?

— შენ არ მითხარი, სახვაჭრობის მაღაზიაში საპონი და ფეხსაცმელი მოიტანესო?

— მოიტანეს, დედას გეფიცები, მამის სული წამიწყდეს...

— მერე?

— მერე და დოჟირებიათ.

— ვისთვის?

— შინაურებისათვის, მეგობრებისთვის...

რაღა ხამივით მეკითხები, შე ქალო?...

მივლინებული უცნობი


მატარებელი მოვიდა და მე ვაგონში შევედი. ჩემთან ერთად რბილ ვაგონში ერთი ტყავის პალტოიანი უცნობი კაცი შემოვიდა. სარეწაო არტელ თუნუქ-პრიმუს-გასადების მუშაკი აღმოჩნდა.

— რა საქმეზე მიბრძანდებით ქალაქში?

— მივლინება მაქვს არტელიდან: პრიმუსის ნემსები უნდა შევიძინო, დიდი მოთხოვნილებაა. შეიძლება თევზიც ვიყიდო და აგრეთვე ბატის და იხვის ბუმბულიც წამოვიღო, — საქმიანად მიპასუხა და ძვირფასი „რეკორდი“ გააბოლა.

თვალწინ დამიდგა აბაშის ბაზარი, სავსე იხვ-ინდაურებითა და ბატებით, რომლებიც ისეთი ადგილობრივი წარმოების საგნებისათვის, როგორც ბუმბულია, არავითარ მივლინებაში არ მიდიან, ხოლო თევზებს ადგილობრივ წყალსატევებში იჭერენ და ადგილზევე ჰყლაპავენ.

პ. ონტოფელი



— ეგ თემა სამ დღეში უნდა ჩაგვაბარო დახატული.
 — რას ბრძანებთ, ამხ. რედაქტორო, ასეთ სურათების ხატვას დიდი მხატვრები სამ თვეს უნდებოდნენ.
 — თქვენ ხომ პატარა მხატვარი ხართ. ამიტომ გაძლევთ ნაკლებ დროს.

ხულოს გლეხთა სახლის გამგე მხოლოდ ერთხელ და მას აქეთ მახსოვს მისი დაღრეჯილი სახე. შემომჩივლა: რად მინდაო სახლის გამგედ ვიყო, ბელისაგან ჩაჩანაკად განზე გავირიყო!

აი, მესმის, კომენდატი, გაუფალს რომ ჰკაფავს, დღეში სულმცირე რომა ვსთქვათ, ხუთ თუმნამდე ქაფავს. ერთხელ ვთხოვე: შევეცვალოთ, შენ — მე, მე კი — შენა! მიპასუხა ისემც ღმერთმა ქოხი ავიშენა!..

მხოლოდ თორმეტიოდეჯერ შევეცვალა მგონი, და იცოცხლე, სიღრმეში მე გავაკეთე ფონი. გავკარი და გამოვკარი, ბევრი ვითვალთმაქცე, მაგიერი ჩემო ძმავო, ზორბათ ავატქნაფე.

აქ კი, როცა სახლის გამგედ ვიკავები წელში, ყოველ მხრიდან მიყვირიან: ჩაძვერ თუნდ ქვესკნელში, თუ გინდ მთლად შემოიარე ზღვა, მთები და ველი — ოთახები გაგვითბე და გაგვინათე ბნელი!

ბრიყვებს არც კი გაეგებათ, რომ სიბნელე ხშირად თვალებს ისე გარდაქმნის, რომ აქლემს აქცევს ვირად, ან და საქმის ვითარებას ისე უცვლის ფერსა, როგორც ფრაკში გამოწყობილს ველარ იცნობ ბერსა...
 კლატონ-გვი

ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

ავთანდილის (ფოთი) განსაკუთრებით „აღგვაფრთოვანა“ თქვენი ლექსიდან ქვემოდ მოყვანილ 2 სტრიქონებმა ვინმე ტარიელის შესახებ, რომელიც იქაური სასტუმროს „პასუხისმგებელი პირი“ ყოფილა.

ტარიელმა აზიუობით
 რომ დაუწყოს თავის სატრფოს,
 მე ვურჩიე „დაანებე
 ტარიელო თავი კატოს!“
 შენ მას სწერდი, — კატუნია,
 ნუ მივიწყებ; ჩემო ვარდო,
 რატომ გინდა მე რიონში,
 ან შავ ზღვაში გადამაგდო?

ვფიქრობთ, იმ „პასუხისმგებელი პირის“ კატუნია თქვენც „გიწვავთ პირს“. ავთანდილსა და ტარიელს არ შეეფერით კატუნიასადმი ასეთი არარაინდული დამოკიდებულება.

ორდნა - ს (ბაქო) ნულარ შეიწუხებთ თავს. თქვენი მასალები არ გამოგადგება, „სიყვარულის ცეცხლიდან“ თქვენი გამოყვანა ამემაღ ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი ხდება.

ეცადეთ „საკუთარი რესურსებით“ მოავგაროთ სიყვარულისაგან გამოწვეული თქვენი „ტრალედია“.

ბიძინას (აქვე) იწერებით:

„სიყვარულის ცეცხლი მდაგავს
 და საბრალომ ვიცი, ვკვდები,
 მომეშველეთ, დამიხსენით,
 სანთელივით ვდნები, ვდნები.“

როს გიგონებ, გულსა სევდა
 მომედება „შავი ფრთებით“,
 რესტორანში ჩავალ ხელად
 და კახურით ვთვრები, ვთვრები.

თუ თავში სიმხურვალე გაწუხებთ, მას ყელის მორწყვით ვერას უშველით.

მიხაპის (ქ. მახარაძე) ასკანელი პედაგოგის შესახებ თქვენს ლექსში ასეთი სტრიქონებია:

„გამომყვევი ცოლად ქალო,
 უცოლობა მე რას მარგებს,
 ვფიცავ შენ თავს და ჩემს ცოლ-შვილს
 ჩემ ბედს ძალდი აღარ დაწყევფს.
 ვფიცავ მშობლებს და ჩემს ქალ-ვაჟს,
 რომ შევირთო ცოლად მინდა,
 უცოლო კაცს წადილი მაქვს
 სიყვარული შენთან წმინდა.“

ჩვენ ვერ გავიგეთ პატივცემული პედაგოგის ოჯახური მდგომარეობა. ეგებ თქვენ გაიგოთ!

ბეკო რიჰიშიძეს — თქვენ გგწერთ:

თუ დაბეჭდავთ ამ ლექსს, მაშინ
 საჩუქარი იყოს ჩემზე.

თქვენი ლექსიდან, რაც ალბათ საჩუქრის სახით გამოგვიგზავნეთ, დიდათ კმაყოფილნი ვართ. თავს ნულარ შეიწუხებთ.



— ამბობენ, თითქოს გამგე ყურადღებას არ გვაქცევდეს.
 — პირიქით, ბრმაც კი დაინახავს, რომ ყელამდე ვართ სავსე მისი ყურადღებით.